**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ჰსვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ
на газету

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(десятый годъ изданія).

Газета будетъ выходить ежедневно, по прежней программѣ.

Городская подписка принимается въ конторѣ редакціи, Головинскій проспектъ, 12. Гг. иногородные обращаются „Н слѣдующему адресу: Тифлисъ, въ редакцію газеты по овое Обозрѣніе“.

Условія подписки, съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к., за границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р., (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редекціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Редакторъ В. М. ТУМАНОВЪ. Издатель К. М. ТУМАНОБЪ

---

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და სხვაგანაც ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## საქართველოს კალენდარი 1893 წ.

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა სახეებით. ფასი უყდოდ **45** კაპ. ყდაში **55** კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით **40** კაპ.

## სახალხო კალენდარი 1893 წ.

მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით ფასი ერთი შაური.

იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი, ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და ვრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად ყოველ გვარ შემთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,

(6—6)

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

---

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 13 იანვარს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება

**გ. გედევანოვის საბენეფისოდ**

**I**

## მტარვალი

ისტ. დრ. 5 მოქ., ლაზარიაშვილისა.

**II**

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან!

ვოდევილი 1 მოქმედ., ვალ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ამ ცოტა ხანში დანიშნულია

ქ-ნ ბ. ა. ავალიშვილის ბენეფისი.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

---

**გამგეობა ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობისა** უმორჩილესად სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც ამა მდგომარე წლის იანვარში დაიწყეს პაის ფულის შემოტანა, ხოლო სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ და 1893 წლის იანვრის დამლევისთვის წარმოადგინონ დანარჩენი ფული, თორემ, თანახმად წესდების მე-3 მუხლისა, ამხანაგობის წევრთა რიცხვიდგან გამორიცხულ იქმნებიან.

3—2

---

## „კვალი“

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

(დამატება „ჯეჯილისა“)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის.

მუდმივნი თანამშრომელნი არიან: თ. აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, თ. ი. მაჩაბელი; ჯერ-ჯერობით აღგვითქვეს თანამშრომლობა: ეკ. გაბაშვილისამ, იაკობ გოგებაშვილმა, სოფრონ მგალობლიშვილმა, ი. ბახტაძემ (სონელმა), ნ. ლომაურმა, ანტ. ფურცელაძემ, ა. ჭიჭინაძემ, ე. თაყაიშვილმა, პ. უმიკაშვილმა. ნ. ხიზანაშვილმა (ურბნელმა), დ. ხოშტარიამ (დუტუ მეგრელმა), გ. იოსელიანმა და ა. გარსევანიშვილმა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.

ნახევარის წლისა გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3 მან., თითო ნომერი აბაზად. კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

**ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ** ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოდან ც «ქართ. წერა-კითხ. საზოგ.» კანცელარიადან. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლად.

ვინც „ჯეჯილსა“ და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა


## ახალი ამბავი

*** 14 ამ იანვარს, წმიდა მოციქულთა-სწორის ნინას, ქართველთა განმანათლებელის, დღეს, იქმნება სადღესასწაულო წირვა. მწირველი იქნება მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ექსარხოსი ვლადიმერი სიონის ტაძარში, სადაც ასვენია წმიდა ნინოს ჯვარი.

13 იანვარს, საღამოს ლოცვაცისკარს დაუჯდომელითურთ ილოცავს აგრეთვე მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა.

*** კავკასიის მთავარ-მართებელის ნება-დართვით, კავკასიის სტიპენდიანტებად ჩაირიცხნენ: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტი მიხეილ ქართველიშვილი და მოსკოვის უნივერსიტეტის იურისტთა ფაკულტეტის სტუდენტი თ. კონსტანტინე თუმანიშვილი.

*** ტფილისის ცოფის აცრის სამკურნალოს სადგურში ამ ჟამად 10 კაცია ცოფიანის ცხოველებისაგან დაკბენილი, რომელთაც პასტერისებური წესითა სწამლობენ.

*** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში მზად იქნება წლიური ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 1892 წლის განმავლობაში. ანგარიშის დაბეჭდვის შემდეგ მოწოდებულ იქნება წლიური კრებაც ამ საზოგადოების წევრთა, როგორც ზემოხსენებულის ანგარიშის დასამტკიცებლად, ისე სხვა მორიგ საქმეთა განსახილველად.

*** იბეჭდება აგრეთვე ცალკე წიგნებად „თამარ-მეფე“, საისტორიო მონოგრაფია ბ-ნის დ. კ—შვილისა და „ქრისტინე“, მოთხრობა ე. ნინოშვილისა, რომელიც ამას წინად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ფელეტონებად.

*** პროვიზორს ბ-ნს ი. ალხაზაშვილს, რომელსაც საკუთარი აფთიაქი აქვს ახალ-ქალაქში, შეუდგენია ქართულად ყოველ-გვარი ტერმინები, რომელიც-კი სამკურნალო მეცნიერებაში იხმარება. ბ-ნს ალხაზაშვილს უნდა ეს ტერმინები გადასცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ცალკე წიგნად დასაბეჭდად.

*** გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო, რომ ჩვენ მივიღეთ ირკუტსკიდამ 12 მან. სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდაო. ამ ფულისა იყო სულ 1143 მან. 90 კაპ. შესდგა 1155 მან. 90 კაპ.

*** ფოთი: 10 იანვარს, ნაშუადღევს, ერთი საციგაო დატრიალდა „პარკში“—თოფმა იმსხვერპლა ქალაქის სასწავლებლის მეორე კლასის შეგირდი სილოვან კორტავა. კორტავა წასულიყო პარკში თოფით და ჩიტების ხოცვა დაეწყო. მერე პალიასტომის ტბაზე მოენდომებინა ნადირობა იხვებზე და შემდეგ ისევ პარკში დაბრუნებულს დაეწყო ტენა თოფისა. თოფი გავარდნილიყო და საფანტი მოხვედრიყო კისერში. დაჭრილმა სულ რამდენსამე წამს-ღა იცოცხლა.

*** „Тиф. Лист“-ის სიტყვით, 10-ს იანვარს, ღამე ამავე გაზეთის რედაქტორის ბ-ნის ქრისტეფორე ხაჩატუროვისათვინ შეურაცყოფა მიუყენებია სომხურ გაზეთ «ნორ-დარის» რედაქტორს ბ-ნს სპანდარ სპანდარიანს. აი საქმე როგორ ყოფილა: ბ-ნი ხაჩატუროვი ამ ღამეს „სობრანიეში“ ყოფილა თურმე; როცა ეს ერთს კაცს ელაპარაკებოდა რაღაც კერძო საქმეებზედ, მიეპარა ბ-ნი სპანდარ სპანდა-

რიანი და თავში დაჰკრა ბ-ნ ხაჩატუროვს, რომელიც თავის მხრივ მივარდა შეურაცხ-მყოფელს და სამაგიერო გარდაუხადა. დამსწრე საზოგადოებამ მოჩხუბარნი გააშველა.

„Тиф. Лис"-ისავე სიტყვით, მიზეზი ამ უმართებულო მოქმედებისა ისა ყოფილა, რომ ბ-ნ ხაჩატუროვს თავის გაზეთში ერთის შენიშვნით უწყენინებია ბ-ნ სპანდარ-სპანდარიანცისათვის.

** „Нов. Обоз."-ს სწერენ ხორგიდგან (ზუგდიდის მაზრა), რომ იქ შობის წინა დღეებში დიდი საცოდაობა დატრიალდა. ხორგის სოფლის მამასახლისი დარჩენილ გარდასახადს ჰკრებდა გლეხებისაგან; გარდაუხდელი ჰქონდა გარდასახადი, რაღაც 8 მანეთამდე, გლეხის ივანე პაპქორიას ქვრივს, რომელიც ძლიერ ღარიბი და წვრილ-შვილის პატრონია; ქვრივს რასაკვირველია, არა ჰქონდა-რა, რო მიეცა ხელად გარდასახადი მამასახლისისათვის, და შეჰხვეწნია, ამა და ამ კაცს, გვარად ღურწკაიას, ფული ჰმართებს ჩემი, ბარათიც ხელში მაქვსო და აი მიირთვით და გარდაახდევინეთო. მამასახლისს არ შეუწყნარებია საბრალო დედაკაცის თხოვნა და დაჰმუქრებია,—თუ ჩქარა გარდასახადს ფულს არ იშოვი, სოფლის კანცელარიის საპყრობილეში დაგამწყვდევო და ყოველივე სახლის უსაჭიროესს ავეჯს გაგიყიდიო. შეშინებულ დედაკაცს დაუგდია სახლი წვრილ-შვილებით მეზობელ-ქალის ანაბარად და თითონ წასულა გლეხ ღურწკაიასთან, რომელსაც ფული ემართა მისი. ღურწკაია სახლში არ ყოფილიყო, რის გამო დედაკაცს მამასახლისის შიშით ხელ-ცარიელი ვერ გაებედნა დაბრუნება სახლში. იმის წასვლის დღესვე საღამოს მეზობლის ქალი, რომელსაც ებარა ქვრივის ოჯახი და შვილების ყურადღება, თავის სახლში წასულა იმ იმედით, რომ სახლის პატრონი კიდეც დაბრუნდება ახლაო.... დედაკაცი-კი სამი დღის შემდეგ დაბრუნებულა ფულით... მაგრამ, ვაი ამ დაბრუნებას! სახლში ოთხი თვის პატარა ქალი აკვანში ჩამკვდარიყო და დანარჩენი შვილები შიმშილისა და სიცივისაგან სიკვდილის პირას იყვნენ. ეს საშინელი დრამა იმით დაბოლოვებულა, რომ უბედური დედა სისხლის სამართალში მიუციათ—შვილები რად დასტოვე უპატრონოდ და რად მოჰკალი ოთხის თვის ჩჩვილიო.

### მთავრობის განკარგულებანი

კავკავის 152-ის ქვეითა ჯარის უფროსს, პოლკოვნიკ საგინაშვილს ებოძა გენერალ მაიორობა, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა და მიეცა მუნდირი და პენსია.

გადაყვანილ იქმნენ: მე-38 არტილლერიის ბრიგადის შტაბს-კაპიტანი ნაცვლიშვილი და ტფილისის ოლქის საარტილლერიო სახელოსნოს კაპიტანი ჯავრიშვილი—ამავე ოლქის საარტილლერიო „სკლადში". დამტკიცებულ იქმნენ: კოლლეჟსკი-სეკრეტრობაში და უფროსობის ხარისხზე: „სასოფლო მეურნეობის" კანდიდატი თ. ვლადიმირე სუმბათიშვილი და გუბერნსკი სეკრეტრობის ჩინზე სწავლული მეტყვე მე-2 ხარისხისა სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ქუთაისის განყოფილების სამმართველოში მოხელედ ჩარიცხული სოკრატე ამაშუყელი.

თხოვნისამებრ დანიშნულ იქმნა: ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე თ. იოსებ ფალავანდიშვილი გორის სამაზრო სამმართველოს რეგისტრატორად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი.** 20 დეკემბერი ფრიად საგულისხმიერო დღეა მთელ ქართველობისათვის და განსაკუთრებით იმავე ქართველების თავად-აზნაურობისთვის. ამისთანა საქმისათვის ჯერ ქართველებს ხელი არ მოუკიდნიათ.

მე მოგახსენებთ კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ საქმეში თავად-აზნაურობას ჰმართებს ყოველ გვარი სიფრთხილე; საჭიროა, ასჯერ-კი არა, ათასჯერ გაზომა და ერთხელ გამოჭრა, რომ ეს დიდი და მძიმე საქმე მთელის კახეთისა და თვით თავად-აზნაურთა სასარგებლოდ შესრულდეს. საჭიროა, რომ ამორჩეულმა კომისიამ სატეხნიკო გამოკვლევის დროს მიიღოს მხედველობაში გარემოებანი, რომელნიც უფრო მეტს მცხოვრებელთა რიცხვს დააკმაყოფილებს. რასაკვირველია, აქ სახეში მისაღებია მარტო მცხოვრებელთა რიცხვი-კი არა, მანძილიც, ხარჯიცა, შემოსავალიც და სხვ. ჩემის აზრით, ყველა მოსაზრება რომ მივიღოთ მხედველობაში, უმჯობესად დავინახავთ, გაკეთდეს გზა 150 ვერსის სიგძისა-კი არა, როგორც ამბობენ, უნდა გაკეთდეს 180 ან 170 ვერსი. მაშინ მოშეტებული ნაწილი ქიზიყისა რკინის გზის მოშორებით არ დარჩებოდა.

ურიგო არ იქნება რკინის გზა ასე გაიყვანონ:

ლაკბედამ უნდა წავიდეს გზა პირდაპირ ხეობით ბოდბის კალოებამდის, იქნება 12 ვერსი; ბოდბის კალოებიდამ შეუხვევს ნარიაან ხევისკენ; ხევის პირამდის კალოებიდამ იქნება 2 ვერსი; აქედამ ნარიაან ხევით წავა არბოშიკს, ეს იქნება 5 ვერსი; არბოშიკზე ჩაივლის და უზუნდარის ხევთან ჩავა, იქ იქმნება 5 ვერსი; აქედგან უზუნდარის ხევით გავა ხირსაზე და მივა წმ. სტეფანეს მონასტრამდის, ეს იქმნება 3 ვერსი; წმ. სტეფანეს მონასტრიდამ პირდაპირ გასწევს ბაკურციხისაკენ, ეს იქმნება 18 ვერსი. მთელ ამ გზის მანძილი შეადგენს 45 ვერსსა, იქნება ცოტათი მეტსაც. აქედამ უნდა გამოირიცხოს არა ნაკლებ 15 ვერსისა, რომელიც ჩალაუბნის ხეობის სიგრძეს შეადგენს ლაკბედგან ბაკურციხემდის. იმ ადგილამდის, საიდამაც, როგორც ჰფიქრობენ, შეუხვევს გზა ბაკურციხეში, ვგონებ, ბევრად მეტი იყოს 15 ვერსზედ. გამოდის, რომ 30 ვერსზედ მეტს არა მატულობს გზა.

ახლა აღვნიშნოთ, რომელს სოფლებზე გაივლის, თუ ასე გაკეთდა გზა. კოლმეჩური, ჰოტორი, ნუკრიანი—600 კომლი მცხოვრებია, მაღარო—400 კომ., ბოდბე—1000 კომ. (შეცდომა არ გეგონოთ), ზემო-მაჩხაანი—800 კომ., არბოშიკი, მირზაანი, ოზაანი, სულ-უკანაანი, კოტაანი—800 კომ., ხირსა, პრასიაანი და ტიბაანი—400 კომ., ქვემო-მაჩხაანი და ფანიაანი—600 კომ., ჰუგაანი—400 კომ., ბოდბის ხევი—900—კომ., მაშნაარი—200 კომ., ასანური და საქობო—800 კომ., ვაქირი—900 კომ., ანაგა—700 კომ., კარდანახი—700 კომ. კომლთა აღრიცხვა დაახლოვებულია. ვგონებ, საზოგადო რიცხვი კომლეულთა 9200-ზე მეტი იყოს და არა ნაკლები. ისიც იქონიეთ სახეში, რომ ეს ცხრა ათასი კომლი ბაკურციხის ზემოდ მცხოვრებთა შედარებით 18,000 კომლს უდრის სიმდიდრით. დღეს ეს ცხრა ათასი კომლი აძლევს დანარჩენ კახელებს, ორ სამაზრო ქალაქს და ნაწილს ტფილისისას საკლავსა და ბევრჯელ პურსაც. ეს ცხრა ათასი კომლი ისეც დაშორებულია თავის მინდვრებზე 10—40 ვერსამდის (აღმოსავლეთისკენ) და ახლა რკინის გზასაც რომ დაჰშორდეს, სწორედ უსამართლობა იქნება. ის ოცდა-ათი ვერსი, რომელსაც კახეთის გზა მატულობს, თუ ქიზიყზე გაატარებენ, დიდს შემოსავალს მოუტანს რკინის გზასა. ამის დასამტკიცებლად მარტო ის მოსაზრება კმარა, რომ არც გარე კახეთში და არც შიდა კახეთში რკინის გზის ოც-და-ათ ვერსის მანძილზე ცხრა ათასი კომლი-კი არა, არც ნახევარია ცხრა ათასისა სხვაგან, გარდა ქიზიყის იმ ნაწილისა, რომელზედაც ვარჩევ გზის გაყვანას.

ერთი ხაზიც სხვა არის, რომელიც ჩალაუბანზე გზის გატარებას ბევრით სჯობია, მაგრამ ზემორე აღნიშნულ ხაზზე-კი ნაკლებია ღირსებით. ეს გახლავთ: ლაკბე, მაღარო, დაცულტყე, ზემო-მაჩხაანი, ქვემო-მაჩხაანი, შიხია-ხევი, ჯუგაანი და მერე ბოდბის-ხევის კალოებზე პირდაპირ ხაზით ბაკურციხისაკენ. ეს გზა ათი ვერსით ნაკლები იქნება, ვიდრე პირველი.

ურიგო არ იქნება, კომისიამ ორივე ხაზი მიიღოს მხედველობაში და თავისი მოსაზრება ამ საგანზე გამოაცხადოს.

ნადიკვრელი

**დ. ოქუმი** (სამურზაყანო 8 იანვარს). ოქუმის საზოგადოებას დიდი ხანია, აქვს მთავრობის მიერ მიზომილი ტყე ბზისა. ეს ბზა, როგორც ერთად-ერთი ნუგეში ჩვენის წარმატებისა, დიდ ბედნიერებად მიგვაჩნია. მართლაცა და, თუ ეს ბზა გავყიდეთ რიგიან ფასად, ცოტა სიკეთეს არ მოუტანს ოქუმლებს. ამას წინად ამ ბზას ბევრი მყიდველი გამოუჩნდა. უნდოდათ ძვირფასი საქონელი იაფად ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ აქაური მომრიგებელი შუა-კაცი მოგვეხმარა და მათი სურვილი ვერ შესრულდა.

ახლა საქმე მთავრობაზეა დამოკიდებული. იმის ნება-დაურთველად ჩვენ ამ ტყეს ვერ გავყიდით. როგორც ისმის, ეს ნებართვაც მალე მოვა. საჭიროცაა, რომ მალე მოგვეცეს ეს ნება, მხოლოდ საზოგადოებას დიდი წინ-დახედულობა ჰმართებს მაშინ. ძლიერ კარგი იქნება მოზარდი ბზა ჯერ-ჯერობით არ მოიჭრას, რომ ჩვენს შემდეგაც, ჩვენმა შვილებმა ისარგებლონ ამ ძვირფასის ტყით, ხოლო ხანს გადასული ბზა-კი უნდა გაიყიდოს საჯარო გასყიდვით ერთ-ერთს ჩვენს საგუბერნიო ქალაქში, რათა ჩვენმა წვრილმა ჩარჩებმა არ ჩაიგდონ ხელში იაფად; თუ ეს ამ ნაირად არ მოხდა და ადგილობრივ მოხდა გაყიდვა ბზისა, ისარგებლებენ ამით ჩარჩნი და ჩალის ფასად დაინარჩუნებენ, რადგანაც საჯაროდ გასყიდვის დროს მეტოქეთა რიცხვი ცოტა იქნება ამ მივარდნილ მხარეში. მით უფრო საფიქრებელია ამითი გამარჯვება მოხსენებულ საქმეში, რომ კარგი დოსტები არიან ზოგიერთ ჩვენის სოფლის გავლენიან კაცებისა. ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ საჭიროა ტყე მალე გაიყიდოს. ეს იმიტომ არის საჭირო რომ ტყე ხანს გადასულია და უმეტეს ნაწილი მისი უსარგებლოდა ლპება. მით უფრო საჭიროა რომ ამ მოკლე ხანში ოქუმლები აპირობენ ქვის ეკკლესიის აშენებას. თუ ეს ბზა გაიყიდა, აღებული ფულით ეკკლესიასაც ადვილად ააშენებენ და სხვა კეთილ საქმესაც სისრულეში მოიყვანენ. ქურდობისაგან ორი-სამი თვეე გავიდა მოსვენებული ვიყავით, მაგრამ წარსულ წლის მიწურულში ორი სამი მაგალითი-კი იყო ქურდობისა. დეკემბერმა სრულად და იანვარმა დღემდე მშვენიერი დარები დაიჭირა; თოვლი გვენატრება და არსად სჩანს.

ი. გვია

### ქუთაისური ფელეტონი

ქუთაისის გამწმენდი ქარ-ცეცხლი.—ვინც რა დასთესა, იგი მოიმკო!?—სასიამოვნო ამბავი: საკვირაო სკოლა.—ახლანდელი „გიმნაზისტკები" და მათი ძველი თაობა.—ვინ უნდა იყოს საკვირაო სკოლის მასწავლებელთა დამხმარე?—ბუზღუნა პედაგოგები.—ცხოვრების წარსამატებელი და დღიურ ლუკმის საშოვარი შრომა.

ეს ორი-სამი წელიწადი გადის, რაც ქუთაისს მრავალმა სხვა-და-სხვა გვარმა ქარ-ცეცხლმა გადაუარა თავზე. ჯერ იყო ქარ-ცეცხლი დადიანისა და ჩიკვაიძისა; მერმე დატრიალდა ცეცხლი ლოლუასა და ასათიანს შორის; ამას მოჰყვა ქარ-ცეცხლი ხოლერისა, მერმე ცეცხლი ქალაქისა და პოლიციის წარმომადგენელთა და სულ ბოლოს აღიგზნო ცეცხლი თოფურიას და საქალაქო სამკურნალოსი.

ამ სხვა-და-სხვა გვარმა ქარ-ცეცხლმა ქუთაისის საზოგადოებას თითოეულს ძარღვში გაურბ-გამოურბინა, ყოველს მოქალაქეს კლანჭი გაჰკრა და გამოჰკრა, ყოველს ინტელიგენტს დავთარი აუშალ-დაუშალა, თითოეული კაცი და ქალი თავისებურად ააყაყანა, ზოგი წალმა დაატრიალა, ზოგი უკუღმა, ზოგს ჭირი მიაყენა, ზოგს ლხინი. ერთის სიტყვით, ამ ქარ-ცეცხლმა ძველი შთანთქა და ალგავა პირისაგან ქვეყანისა და ყველაფერი ცეცხლის სახმილში გაატარა. და ახლა, ქუთაისის ცხოვრება, ვითომ შვიდ წილ განწმენდილი და განსპეტაკებული, ქუთაისისავე შესაფერს კალაპოტშია ჩასმული. ამიტომ რა ჭკუა იქმნება, რომ მეფელეტონის კალამმა ძველის ჩხრეკით ვისმეს წარსულის მოგონების სურვილი, ან ლაპარაკის სადერღელი აუშალოს!

მხოლოდ ვიტყვი, რომ,—თუ მეცნიერების აზრი მართალია, რომ აწმყო წარსულის შვილია და ბუნებას ნახტომები არ უყვარსო,—რაც მოხდა ამ ორის სამის წლის განმავლობაში, ყველა ეს უტყუარი და სამართლიანი შედეგია წარსულისა. კიდევაც ამიტომ, ვინც რა დასთესა, იგი მოიმკო: ავის მთესველს ავი მიადგა უთუოდ და კაის მთესველს—კარგი. შესაძლებელია, ბევრს უსამართლობაც დაემართა: სხვის ავმა ნათესმა უმართლოდ ვისმეს ავი ნაყოფი მოუტანა, მაგრამ ესეც ხომ ბუნების კანონია; ერთი და ორი მადლიანი ყოველთვის „გამოინაჭება" ხოლმე საყოველთაო თავ-ზარ დამცემ ტალღის გადმოვლის დროს; და მამის ნაცოდვილი რომ შვილზე გადადის, ეს ხომ ფიზიოლოგიის კანონია და სოციოლოგიაშიაც დიდი ალაგი უჭირავს. ამიტომ რა გაეწყობა, თუ ქუთაისის მამათა შენაცოდები ზოგიერთს კარგ შვილებს თავს დაატყდა.

მაგრამ ჩვენ ამების წილა-დობილას თავი დავანებოთ და ერთს ქუთაისის ცხოვრების სასიამოვნო ამბავს მივაპყრათ ყური; მინდა ორიოდე სიტყვა აქაურ საკვირაო სკოლის შესახებ მოგახსენოთ... კვირა დილაა. სუსხიანი ტაროსია. საკრებულო ტაძარში წირვა გამოვიდა. ბულვარში ორი-სამი კაცი თუღა დადის: ყველა თბილ კუნჭულისკე გაურეკია სიცივეს. მაგრამ აგერ ბულვრის გვერდზე, ორ-სართულიან სახლის წინ, მოკრებილან 25, 20, 12, 10 და 8 წლის ჭაბუკნი და ყმაწვილნი. ამ გროვაში დაინახავთ კიკინებ-ჩამოშვებულ ურიის ჭონტოლს, თერძის შეგირდს, მიკიტნის დახლიდარს, „პოვარს" „ლაქიას" და სხვა ამ გვარ მდაბიო ხელობისა და წოდებისას. ესენი რაღაცა ერთის მოლოდინით და გრძნობით არიან გამსჭვალულნი, რაღასაც ელოდებიან თვალ და ყურ-გაფაციცებულნი. 12 საათი შესრულდა. და აგერ მოეშურებიან 7—8 ახალგაზდა ქალი, ახლანდებურად რომა ვსთქვათ, „ბარიშნები", რომელთაც იღლიით წიგნები დ სურათები მოაქვსთ. „აი, ის ჩემი უჩიტელაა";—არა, ბიჭო, „ისაა ჩვენი უჩიტელა", ერთი მეორეს ჩასძახიან მოსწავლენი. „ის არაა, რომ მაიმუნის ამბავი გვითხრაა; ის ისაა, ბულბულის გამო რომ გველაპარაკა",—წამოიძახა მოზრდილმა დახლიდარმა. ამ ჩოჩქოლში „ბარიშნებიც" მიუახლოვდნენ გროვას; მასწავლებელნი და მოსწავლენი ერთმანეთს მიესალმნენ და მერმე ყველა ერთად ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში შევიდნენ.

სწავლა გაიმართა. მთელი სკოლა 5 თუ 6 ჯგუფად არის გაყოფილი. ზოგი „ან-ბანს" კითხულობს, ზოგი ახლა იკვეთავს, ზოგი კითხვაში გავარჯიშებულია; აქ არითმეტიკას ასწავლიან, იქ თვალსაჩინო საგნების თაობაზე საუბრობენ. სწავლა 12 საათიდამ 4-დე გრძელდება. აქ მასწავლებელი კაცი ერთის მეტი არ ჭაჭანებს. როცა ვიკითხე ამ გარემოების მიზეზი, ასე მიპასუხეს: კაცები არა გვწყალობენო.

„ნეტა რა არის აქ საინტერესო და საგაზეთოო", ეგება იკითხოს მკითხველმა, „უწიგნო ადამიანს სწავლება ეჭირება, ქალებს სწავლება შეუძლიანთ, ასწავლონ, და მორჩა გათავდაო; ჩვენ თუ გვიკვირს ეს, თორემ სხვაგან არავის არ გააკვირებსო, რუსეთის ქალაქებში განა ცოტაა საკვირაო სკოლები, ცოტა ბარიშნები ასწავლიანო?!" ასე საქმის ახსნა მართალია, მკითხველო, მაგრამ აქ საინტერესო ამ ამბის სიახლეა, სიახლე იმ გარემოებისა, რომელიც ქუთაისის მცხოვრებს ჯერ არ უნახავს; კიდევაც ამიტომ მიიქცია ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება: მას აქედ, რაც ქუთაისსა და საზოგადოდ ქართველობას ახალის სკოლის ქალი

მოევლინა, ასეთი ამბავი სრულიად არა ყოფილა. ახალის სკოლის ქალთა შორისაც, თუ არ ვსცდები, უნდა აღინიშნოს ორი თაობა: ახალი და ძველი. ნასწავლთა ქალთა ძველი თაობა ვერ ურიგდებოდა ჩვენს ცხოვრებას. იმათგან ისიც გვაკვირვებდა, თუ ქართველ კაცთან მოთავსებას მოახერხებენ, მათის ჯიბის სიღარიბეს აიტანდნენ და პატარა წყენის, ან ნაკლულევანების გამო ოჯახს არ მიატოვებდნენ და ცხრა-მთა გადაღმიელს არ გადაჰყვებოდნენ ნივთიერ ძლიერებისა და საზოგადოებაში შესამჩნევ ადგილისათვის. სხვის სწავლებას-კი არა, მათგან იმის მოთხოვნასაც ვერავინ გაჰბედავდა, რომ თვისი შვილი თავის კალთასა და მკერდზედ აღეზარდა; თუ თავისს მკერდზე არა, თვისის ხელმძღვანელობაში მაინც ჰყოლოდა. რაიცა შეეხება სხვა-და-სხვა მოთმინებას საოჯახო ცხოვრებაში, ყრმათა სწავლებას, აზრიანს ცხოვრებას, იმ აზრის შეხორცებას, რომ იგიც მოქალაქეა და, მაშასადამე, ისიც იმ ულელში უნდა შეება, რაც ისტორიას მის სამშობლო ქვეყნისათვის კისერზე დაუდგამს,—ამის მოთხოვნას ვინ გაჰბედავდა პირ-იქით ვხედავდით საშინელს ღვირ-ახსნილს მისწრაფებას მხოლოდ ფუფუნებისა და დღიურ უაზრო კმაყოფილების მიმართ. ეგებ ასე იმიტომაც ხდებოდა, რომ ადრინდელი ნასწავლ ქალების უმეტესობა მაღალის წოდების ოჯახებიდამ იყვნენ და...

ასე იყო, თუ ისე, ახლანდელ ჩვენს ნასწავლს ქალს ვერ დავწამებთ რაიმე ამისთანას, თუ იგი ნამეტანი გადაარისტოკრატებული არ არის. დღეს ჩვენში მათთვის მხოლოდ ერთად ერთი-ღა ასპარეზია ხსნილი, ასპარეზი მასწავლებლობისა და, თუ-კი სადმე ადგილი გამოჩნდა, თავს ატეხენ და ერთი მეორეს ეჯიბრებიან და, როცა ასეთს ჯამაგირიანს ადგილს ვერ შოულობენ, უსასყიდლოდ შრომობენ ხსენებულს ასპარეზზე.

ამ მოსაზრების დამასურათებელი მაგალითია სწორედ ქუთაისის საკვირაო სკოლა, რომელსაც ორი განყოფილება აქვს—ქალთა და ვაჟთა. კვირა დღეს 9 საათიდამ 4-მდე ერთს «ბარიშნასაც» ვერ „შეისწრებ“ სახლში: ზოგი ქალთა განყოფილებაში, ზოგი ვაჟთა სკოლაში ასწავლის.

ჩვენში ძვირად არის იმ იმედით გამსჭვალული ქალი და ვაჟი, რომ საშრომს და გასაჭირს საქმეს ხელი მოვკიდოთ, ისე, თუ საკუთარი პირადი ინტერესი პირველ ადგილს არ გვექმნა წამოჭიმული; კიდევაც ამიტომ და ასეთს საზოგადოებაში ყოველი ბიჯი უსასყიდლო და უანგარო შრომისა,—ბიჯი მოყვასთა სასარგებლოდ გადადგმული იმათგან, ვისგანაც ჩვეულნი არ ვიყავით და მოლოდინიც არა გვქონდა,—აღტაცებაში მოგვიყვანს ხოლმე და კიდევაც ამიტომ დიდის სიხარულით ვეგებებით საკვირაო სკოლას, რომელიც ახალ ქალთა თაოსნობითაა გამართული.

მაგრამ აქ უადგილო არ იქნება ვსთქვათ, რომ ყოველ ახალს საქმეს დაბრკოლება უძევს წინ. დამაბრკოლებლად ხშირად თვით საქმის დამწყებნი და მწარმოებელნიც შეიქმნებიან ხოლმე ერთის მხრივ; მეორეს მხრივ-კი ისინი, ვისგანაც საქმე შემწეობას და დახმარებას მოელის და, ნაცვლად ამისა, მათგან იგი საქმე გულცივობის მეტს ვერასა ჰხედავს. ქუთაისში ორივე მოსალოდნელია: პირველი თუ მოხდა, უთუოდ იმიტომ მოხდება, რომ აქ, როგორც მამა კაცთა, ისე დედაკაცთა შორის „უპარტიოდ არაფერი არ გაკეთდება და, პარტიობა დაიწყება თუ არა, საქმეს ბოლო მოეღება. ამ წყეულ პარტიობას, როგორც ამბობენ, თავი-კი გამოუყვია ხსენებულ სკოლის გამო და სავსებით-კი ჯერ არ გამობრძანებულა თავისს საყვარელს ქუთაისის მოედანზე და, თუ მთლად გამოინავარდა, გარწმუნებთ, ვერც ერთი მასწავლებელი ქალი იმას წინ ვერ აღუდგება და მაშინ—შაბაშ ქუთაისის საკვირაო სკოლა! ამიტომ ფრთხილად, ფრთხილად, ახალნო მოღვაწენო, პარტიობამ არ გაიაროს თქვენს ახლოს!

რაიცა შეეხება გარეშეთა მიერ თანაგრძნობას, ერთი ვიკითხოთ, ვინ უნდა იყვნენ ამ საქმის დამხმარენი? ყველაზე უწინ, რასაკვირველია,—ქუთაისის ყველა პედაგოგები. ზოგთათვის ეგ საქმე მით უნდა იყოს საინტერესო, რომ ამ ნაირი დაწესებულე'ის საშვალებით, მოგეხსენებათ, წიგნის ცოდნა გავრცელდება აქაურს მდაბიო ხალხში, და ეს ხომ სანატრელი სურვილი უნდა იყოს იმათთვის, ვინც მასწავლებელის სახელს ატარებს. ზოგთათვის იმით უნდა იყოს საინტერესო, რომ ამ სკოლაში ასწავლიან დღეს ის ქალები, რომელნიც დამოძღვრილნი და გაწრთვნილნი არიან ქუთაისის მრავალ პედაგოგთა მიერ და, თუ აქ არა, სად უნდა დაინახონ იმათ ნაყოფი თვისის რვა-ცხრა წლის შრომისა? როგორ არ უნდა მიაჩნდეთ საინტერესოდ, თუ რა ნაყოფი მოაქვს საზოგადოებისათვის იმ მცნებას, იმ მოძღვრებას, რაც თვის მოწაფეთათვის გარდაუციათ; როგორ არ უნდა იძიებდენ, თუ როგორ შეუთვისებიათ მათი ნამოძღვრი და როგორ ახორციელებენ იმ ნამოძღვრალს მოყვასთა სასარგებლოდ, თუ იგი მცნება ქრისტეს იგავის ქანქარივით დაუმარხავთ უნაყოფოდ და უსარგებლოდ ქვასა ქვეშე. აი, აქ ნახავდენ ისინი თვისის შრომის ავსაც და კარგსაც. რომ ასეთი ინტერესი ეპრიანებოდეს ზოგიერთს პედაგოგს, მერწმუნეთ, რომ იგი იქმნებოდა არა თუ გარეშე თანამგრძნობელი, არამედ ხელმძღვანელი და გზაზე დამყენებელი ხსენებულ მუშაკ ქალთა, თუ ეგ ხელმძღვანელობა საჭირო იქმნებოდა. მაგრამ ჩვენ მოძღვრებისა და დარიგების ნაცვლად ზოგიერთთაგან გულ-ცივობა და იდუმალი ბუზღუნი გვესმის, ბუზღუნი, ახირებულ გულმწყრალობისაგან გამოწვეული. რა ადგილი უნდა ჰქონდეს იქ ბუზღუნსა და გულ-მწყრალობას, სადაც ცხადად ჰხედავ, რომ გაპირუტყვებულის ადამიანისათვის გაშლილა წიგნი, ეს ერთად ერთი სარკმელი, რომლის საშუალებითაც ქამთა-სიავისაგან დახშულის და წყვდიადით მოცულის ადამიანის გონებაში სწავლა-ცოდნის ნათელი სხივი შეაშუქებს... განა სულ ერთი არაა, როგორის ასოებით უნდა იყოს წიგნი დასტამბული! მხოლოდ გონიერებაც, ლოღიკაც და მოსწავლეთა ინტერესიც იმას მოითხოვს, რომ უპირატესობა იმ წიგნს მიეცეს, რომლის შემწეობითაც უფრო ადვილად აიდგამს ენას ისეთი მოსწავლე, რომელსაც წელიწადში, ან, უკეთუ დავიჯერებთ, თავის სიცოცხლეში 40—60 საათი თუ ერგება გონების განვითარებისათვის. დიაღ, თუ ახირებულს მიზეზებს ხელზე არ დავიხვევთ, საკვირაო სკოლას ბევრი თანამგრძნობი უნდა აღმოუჩნდეს პედაგოგთა შორის ოდესმე. ჯერ-კი ცოტანი გახლავან.

ამ დახმარების გარდა, კიდევ არის საჭირო დახმარება ნივთიერი: გულსაკლავი შესახედავია ისეთი სკოლა, რომელსაც აკლია სურათები და სხვა თვალ-საჩინო მორთულობა. ასეთია დღეს ქუთაისის საკვირაო სკოლა. ამ ნაკლის ასაცილებლად, მგონია, არც ერთი ქუთათური არ დაიზარებს თავისის წვლილის შეწირვას, მხოლოდ გამოჩნდეს ვინმე გულ-შემატკივარი და თან ფხიანი ადამიანი, რომ დაიწყოს შეკრება ამ წვლილთა. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მოკლე ხანში შეიკრიბება იმდენი, რომ სკოლას საგრძნობელად შეუმსუბუქებს ამ საჭიროების თავიდამ აცილებას. ყველა მოწმე გახლავართ იმისი, რა სისწრაფით შეკრიბეს ქუთაისში 1—2 ათასი მანეთი, როცა მისი შეკრება დასჭირდათ. დავიჯეროთ, რომ ზემოხსენებული საგანი უფრო მცირე მნიშვნელობისაა!? მართალია, ყოველი მოქალაქე ვალდებულია ქალაქში დაარსებულს კეთილ-დაწესებულებას ხელი მოუმართოს და თვის ჯიბისკენ ხელი წაიღოს, მაგრამ ყველაზე მეტი ქალაქის თვით მმართველობას და აქაურს საკრედიტო დაწესებულებას მოეთხოვება ამ საგნის შესახებ. სხვა ქალაქებში სახალხო სამკითხველოებს და საკვირაო სკოლებს ყოველთვის კერძო შეწირულებით და ზემოხსენებულ დაწესებულებათა წყალობით აუდგამთ ფეხი. შემდეგ იმისა, რაც ხარჯი წელს გასწია ჩვენმა ქალაქმა ხოლერობის გამო, მისი სალარო მდიდარი არ გახლავსთ, მაგრამ ასეთის საქმისათვის 60-ისა და 100 მანეთის გადადება ბევრს არას დააკლებს საქალაქო ბიუჯეტს და ამ სასარგებლო საქმეს-კი წელში გაჰმართავს.

დიაღ, ჩვენ ვამბობთ, რომ პედაგოგთა, მოქალაქეთა და სხვა და სხვა ქალაქის დაწესებულებათ შეუძლიანთ და ვალდებულნიც არიან საკვირაო სკოლას ხელი მოუმართონ, ზნეობრივი, გონებრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ და განამშვენონ. თუ ასე მოხდა, აჩქარებაში ნუ ჩამომართმევთ, და ვიტყვი, რომ ეგ სკოლა სახალხო საკითხავსაც შეიფარებს თვის ფრთეთა ქვეშ, და ამაზე უკეთესი რაღა იქმნება ქუთაისისათვის! მაგრამ მეტყვიან: „ერიჰა, ძალიან შორს გაგიწევია! ყველა, ვინც ქართველების ამბავი იცის, ყველა დაცინვით მეტყვის, ნამეტანი აჩქარებულხარ, ჩემო ბიძია, რატომ არ იცი, რომ ჩვენში ძვირად გვინახავს ისეთი მაგალითი, რომ რომელსამე დაწესებულებაში მოსამსახურეს, ან კერძოდ თავის საქმეების თავისუფლად მწარმოებელს დაეწყოს ისეთი შრომა, რომელსაც წინ გასძღოლოდეს ვრცელი ამოცანა ცხოვრებისაო“! მართალიცაა. ჩვენდა სავალალოდ, ვერც ერთი ვერ გავსცილებივართ სხვისაგან მოცემულს და მოწონებულს პროგრამმას, ან ერთხელვე ფესვ-გადგმულ წესს მოქმედებისას. ყოველს შრომას, თუ-კი მოვკიდეთ ხელი, რაიმე პირადის ინტერესით, რაიმე პაწაწკინტელა აზრით, რომლისამე თავმოყვარეობის გამო, შეუდგებიან და ესაა ცხადი და უტყუარი მიზეზი იმისი, რომ ყოველი ჩვენი შრომა უიდეოა, უსულო, სწრაფ წარმოშობილი და სწრაფვე მისაცვალებელი; კიდეც ამიტომ გახლავართ ქვეყანასა და დროს უკან ჩამორჩომილი. მართლაც, იმ კაცის მოქმედებას, რომელიც რომელსამე ჩვეულებრივ წესს ასრულებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ასრულების ჯილდოდ ლუკმა-პურის სასყიდელი ფარა იშოვოს, განა ეთქმის ნაყოფიერი შრომა?! არა თუ შრომა არ არის ნაყოფიერი და მოყვასთა სასარგებლო, არამედ ასეთ მოქმედთა სიცოცხლეც არ ჩაითვლება ადამიანურ და გონიერ სიცოცხლედ. ჩვენ გახლავართ „ჩინოვნიკი“, პედაგოგი, აფიცერი, მოსამართლე, მღვდელი, მემუსიკე, ან რავდენი უნდა ჩამოვთვალოთ, და ყველანი ისე ვშრომობთ, თითქო ისეთი საცოდავი ხელოსნები ვართ, როგორიც ხარაზი, დურგალი, გინდა მჭედელი, იმიტომ რომ ჩვენს შრომას სარჩულად არ უძევს საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანა და ჩვენი შრომის აზრი გამონასკულია მხოლოდ არსებითის პურის შოვნის ზრუნვაში. აბა, რა სახელი უნდა დავსდოთ „ჩინოვნიკს“, თუ არ ხელოსნისა, როცა იგი სამდივნო სამწერლო მანქანად გადაქცეულა და მეტი მოვალეობა მისთვის არ არსებობს. იგივე სახელი არ დაგვედება ჩვენ, პედაგოგთა და ექიმთა, თუ გრამატიკისა და რეცეპტურის მეტს ყველაფერს ათვალწუნებით შევხედავთ და ყოველს ჩვენის ცხოვრების ახალს ამბავს, ყოველს ავსა დი კარგს ხელ-გაქნევით შევეყრებით და ზედ დავაყოლებთ: „აბა, მანდედამ რა გამოვაო“?, აბა, ეგ რას უშველის ჩვენს ცხოვრებასაო?! და სხვანი. ეს ოხერი, მარტო არსებითი ლუკმა-პურისთვის მეხანიკური შრომა ხომ სიჩლუნგის და გონების სივიწროვის ბეჭედს გვასვამს და ისეთის შრომისათვის ხელს არ გვაკიდებინებს, რომელიც ჩვენს შეპორკილ ცხოვრებას ოდნავ მაინც წინ წასწევს. ნეტა თუ ყველა ჩვენისთანა ერს ასეთი ბედი აქვს!?

კუდიანეთელი

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, თქვენის გაზეთის შემწეობით, გულითადი მადლობა გამოუცხადო იმათ, რომელთაც შემოსწირეს ქვემოსურების სასოფლო წიგნთ-საცავს წიგნები: 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ — სახოკიასი, 2) „კაი მართალთა“—ფურცელაძისა, 3) გეომეტრია—ციციანისა. 4) კასტანგ ორბელიანი—ზ. ჭ. 5) ლექსები ნაწილი II,—თ. რ. დ. ერისთავისა. 6) ლექსები—თ. ნ. ბარათაშვილისა. 7) „ივერია“ № II, 1884 წლისა. 8) „დაკარგული ბავშვი“, ისტორიული ამბავი. 9) ორი ცალი „მეველე“—სოფ. მგალობლიშვილისა. 10) „ნობათი“ VII, VIII, IX, X, XI, XII. 11) თამარ დედოფალი—გ. ბ—შვილისა. 12) „ქართველი მწერლები“—მ. ნასიძისა. 13) „დედა და შვილი“ და რამდენიმე ლექსი—თ. ი. ჭავჭავაძისა. 14) ლექსები—თ. გ. ო—სა. 15) მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწ.—ნათაძისა. 16) „ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“—თ. გ. ავალიშვილისა. 17) ზადიგი—ა. ახნაზაროვისა. 18) მეხის ამბავი—გ. შარაშიძისა. 19) „ქართული სწორ-მეტყველება“—პ. უვიცარიძისა. 20) დახასიათებანი ორი ცალი—ინ—კანისა. 21) ხორველის ლექსი—ხუდავერდოვისა. 22) ჯანდიერი—ან. ფურცელაძისა. 23) თავადი იერონიმე სოფ. მგალობლიშვილისა. 14) მთიული სოსე—მისივე. 25) Соб. прим. для письм. исчисленія—Захаровъ. 26) Родное Слово—К. Ушинскій, 27) Журналъ для дѣтей, № 9, 1857 წლისა. 28) Педагогическій сборникъ, «Воспитаніе и обученіе“, 1882 г. 29) Спиритка—убійца—В. А. 30) „Воздушные замки“—А. Ауэръ. აგრეთვე—მაქსიმე შარაძეს, რომელმაც შემოსწირა ორი ცალი „დამაკვირდი“ და ხუთი ცალი „ცხოვრება წმ. ფილარეტისა“.

ყველა ზემოხსენებული წიგნები გადავეცით, სადაც ჯერ არს.

გ. კიწავა

1892 წელ. 21 დეკემბერი.

# დეპეშა

11 იანვარი

**პეტერბურგი.** სამხედრო სამინისტროს დარბაზში გუშინ დიდი რაუტი გაიმართა ბუხრის ემირის პატივსაცემლად. რაუტს 400-მდე კაცი დაესწრო.

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩის საზღვარზედ დასახვედრად გაემგზავრნენ: გერმანიის ჯარის უმთავრესს შტაბის უფროსი გრაფი შლიფფენი და იმპერატორის ალექსანდრეს სახელით პრუსიის გვარდიის გრენადერთა პოლკის უფროსი ფონ-ბიულოვი.

**ბელგრადი.** გაზეთი „Сербск. Независимость“ სწერს; ეჭვი არ არის, რომ სერბიის მთავარის დედმამის მორიგება დინასტიას მომეტებულ ძალ-ღონეს მისცემს, მაგრამ უფრო სასიამოვნოა ჩვენთვის, რომ ეს ამბავი სიხარულით აღავსებს გულს ახალგაზდა მეფისას, რომლის ბედნიერებითაც სცოცხლობს დღეს სერბიის ერი.

**კაირი.** მიუხედველად იმისა, რომ საქმე უკეთესად მოეწყო ქედივისა და კრომერის შორის მომხდარ მორიგების გამოცხადების შემდეგ, ახლა მაინც შიშობენ, ვაი თუ საქმე გამწვავდესო. მეჩეთსა და ოპერაში ქედივის თავ-დაუჭერელ საქციელისა გამო დაბალ ხალხში უკმაყოფილება ძლიერდება და ევროპიელები შეშინდნენ; ინგლისის მოხელენი ჰფიქრობენ, ჩვენი გავლენა შეირყა და საეჭვოა, რომ ამას იქით ახალი რეფორმები განვახორციელოთო. ინგლისის აფიცრების აზრით, ძლიერ შესაძლებელია, რომ მთავრობა იმ ჯარებს განაძლიერებს, რომელიც ინგლისსა ჰყავს ეგვიპტეში.

12 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ დილის $10^1/_2$ საათზედ მემკვიდრე ცესარევიჩი გაემგზავრა ბერლინს.

გუშინ ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა კრება სახელმწიფო ბანკების ცვლილებათა შემომღებელ კომისიისა.

გუშინ გარდაიცვალა ცნობილი მსწავლული სამსახურს გარეშე მყოფი ინჟინერი გენერალი ტილლო.

**ქაირო.** სულთანმა დეპეშით მიულოცა ხედივს და საჩუქრად გაუგზავნა ექვსი ცხენი.

პეტერბურგის ბირჟა, 8 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| რუს-მანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 7,78 |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | — , | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

## ივერიის ფოსტა

**დ. ზ—ნს. მ. ბ—ძეს.** სამწუხარო ამბავს იწერებით სწორედ. დიდი უკულმართობაა, რომ კარგად დაწყებული საქმე აგრე დატრიალებულა. დავიჯერო, ან ეკლესიის წინამძღვარს, ან მრევლს, ან მანდაურს განათლებულებს არ შეუძლიანთ ურჩიონ ბ-ნ წ—ს, ქართული გალობა ათქმევინოს გუნდს, რომელიც უკვე განსწავლული ყოფილა?!

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

---


## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—28) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—31)

## ВЪ 1893 ГОДУ

## „ОДЕССКІЙ ЛИСТОКЪ"

ГАЗЕТА

политическая, литературная и экономическая

БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ

### ЕЖЕДНЕВНО

ВЪ ТАКОМЪ-ЖЕ БОЛЬШОМЪ ФОРМАТѢ, КАКЪ и ВЪ ПРЕДЫДУЩІЕ ГОДЫ

Открывая подписку на „ОДЕССКІЙ ЛИСТОКЪ" на будущій годъ, мы считаемъ излишнимъ давать какія-либо заманчивыя и—въ большинствѣ случаевъ—неисполнимыя обѣщанія. Дѣло наше, полагаемъ, само за себя говоритъ. Постоянные читатели „Одесскаго Листка", на глазахъ которыхъ происходилъ его постепенный ростъ, согласятся, что мы не щадили до сихъ поръ никакихъ средствъ и трудовъ, чтобы сдѣлать нашу газету отзывчивой, интересной, живой и разнообразной по содержанію. Мы, какъ и раньше, въ теченіе 19-ти-лѣтняго существованія „Одесскаго Листка" подъ нашей редакціей, будемъ неуклонно идти по пути улучшеній изданія, держась строго прежняго направленія, которое хорошо знакомо читающей публикѣ.

ВНИМАНІЕ! Желая предоставить нашимъ подписчикамъ возможность **БЕЗПЛАТНО** знакомиться съ русской и иностранной прессой, мы, не останавливаясь предъ громадными затратами, открыли при редакціи КАБИНЕТЪ ДЛЯ ЧТЕНІЯ, въ которомъ въ 1893 году будетъ получаться **ДО 50 НАЗВАНІЙ** русскихъ, славянскихъ, польскихъ, французскихъ, нѣмецкихъ, итальянскихъ, англійскихъ, испанскихъ, греческихъ, грузинскихъ и другихъ газетъ и журналовъ, спеціальныя научныя изданія, а равно новые романы, повѣсти, разсказы, какъ русскіе, такъ и иностранные.

Подписная цѣна газеты съ правомъ безплатнаго чтенія всѣхъ русскихъ и иностранныхъ газетъ, получаемыхъ къ кабинетѣ для чтенія, въ городѣ съ доставкою на домъ: 10 р. въ годъ, 6 р. полгода, 3 р. 50 к. три мѣсяца, 1 р. 20 к. въ мѣсяцъ. На города съ ежедневною высылкою по почтѣ: 12 р. въ годъ, 7 р. полгода, 3 р. 80 к. три мѣсяца, 1 р. 30 к. въ мѣсяцъ.

Контора редакціи: въ Одессѣ, по Ланжероновской улицѣ, въ домѣ редактора-издателя В. В. Навроцкаго, рядомъ съ Городскимъ театромъ.

Редакторъ-издатель В. В. НАВРОЦКІЙ.

**Открыта подписка на 1893-й годъ**

на издающуюся въ гор. Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

IX г. изд. „СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ", IX г. изд.

выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго носитъ газета.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Безъ доставки и пересылки: | р. | к. | Съ доставкой и пересылкой | р. | х. |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ. . . . . . . . | 4 | 50 | На годъ. . . . . . . . | 5 | 50 |
| — полгода. . . . . . . | 2 | 50 | — полгода . . . . . . . | 3 | — |
| — 3 мѣсяца. . . . . . | 1 | 50 | — 3 мѣсяца . . . . . . | 1 | 75 |

(Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками).

=Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.=

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа".

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებმა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

*Открыта подписка на 1893 годъ*

НА ГАЗЕТУ

## „КАСПІЙ"

Въ 1893 году „Каспій" будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Колоссальный ростъ бакинской нефтяной промышлености за послѣдніе годы выдвинулъ ее такъ въ средѣ другихъ государственно-экономическихъ факторовъ, что бакинская газета, правильно понимающая свою роль и задачи, не должна оставаться чисто-мѣстнымъ органомъ ни по контингенту читателей, ни по выполненію своей программы. Интересы нефтяной промышлености находятся съ такой тѣсной связи съ другими обще-государственными, что игнорировать послѣдніе значитъ оставлять пробѣлъ въ познаваніи и толкованіи первыхъ, и наоборотъ. Вотъ почему „Каспій", издающійся въ центрѣ нефтяной промышленности, отводя много мѣста ей въ спеціальномъ нефтяномъ отдѣлѣ, въ то-же время въ остальныхъ рубрикахъ по возможности выполняетъ обще-газетную программу. Сообразно съ этимъ, наша газета изъ маленькаго мѣстнаго листка, какимъ она была 12 л. тому назадъ, въ послѣднее время и по своему формату преобразовалась и увеличена до 6 колонъ. Газетный матеріалъ распредѣляется по слѣдующимъ рубрикамъ: Телеграммы, „Общія извѣстія", „Обзоръ печати", „Мѣстная лѣтопись", «По Кавказу и Закаспію", „По Россіи", «По чужимъ краямъ", „Нефтяной отдѣлъ", фельетоны—общественной жизни, беллетристическіе, журнальное обозрѣніе, „Судебная хроника, биржевая хроника и руководящія статьи по всѣмъ перечисленнымъ отдѣламъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**

| Съ доставкой: | | | Съ пересылкой: | | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ. . . . | 7 руб. | — коп. | На годъ. . . . | 8 руб. | 50 коп. |
| „ полгода. . . . | 4 „ | — „ | „ полгода . . . . | 5 › | — „ |
| „ 3 мѣсяца . . . | 2 „ | 50 › | 3 мѣсяца . . . . | 3 „ | — „ |
| „ мѣсяцъ . . . . | 1 „ | — „ | 1 мѣсяцъ , . . . | 1 „ | 50 „ |

За границу:

| | |
|---|---|
| На годъ . . . . | 13 руб. |
| „ полгода . . . . | 7 „ |

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля—2 р. и 15-го марта—2 руб.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ „Центральной книжной торговлѣ" и въ книжномъ магазинѣ Хиддекеля; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; съ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Елизаветополѣ—у Г. А, Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; съ Москвѣ—въ конторѣ Метцль и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинцій.

Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Баку, въ редакцію газеты „Каспій".


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.